

ნიგნი და ავტორი

წინ მიდევს ბივი ბაგარდაშვილის ლაზარეოსი მონოგრაფია „ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები“...




მინა-წყალი ღვარცოფებს რომ არ წაბჟაბრთვას...

ეკონომიკური ზარალის მასშტაბები, შეფასების ნორმები და მთის ფორმირებაზე ნიადაგის ეროზიისაგან დამცავი ღონისძიებები.

მკვლევარის ცხოვრებაში მონოგრაფიის გამოქვეყნება, რა თქმა უნდა, საგულგისფრო მოვლენაა, ოღონდ მიმდინარე წელი მარტო ამითი არ დარჩება...

გივი გაგარდაშვილი, ტექნიკის მენეჯერებთან დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, „ფაზისის“ საერთო აკადემიის თანაპრეზიდენტი; 130-ზე მეტი სამეცნიერო შრომის (იმათ რიცხვში ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე 4 მონოგრაფიის), 4 მეთოდური მითითების, 2 დამხმარე სახელმძღვანელოს, 26 გამოგონების (რომელთა შორის 10 საზღვარგარეთაა დაპატენტებული) ავტორი; საქართველოს ენერჯოდევერენტებისა და სატრანსპორტო დერეფნებში დაპროექტებული გარემოსდამცავი ნაგებობების შესახებ 170-ზე მეტი ნამუშევრის ავტორი; გარემოზე ზემოქმედების შეფასების 20-ზე მეტი პროექტის ექსპერტი; 2008 წლის აგვისტოში საქართველოში სამართლი მოქმედების შედეგად გადამწვარი ტყეებისა და ნიადაგის შემფასებელი სახელმძიფო კომისიის წევრი; წყლის რესურსების პრობლემათა, ენერჯოდევერენტების, მელიორაციისა და გარემოს დაცვის საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციების (იუნესკო, ნატო, ევროკავშირი და სხვა) მიერ დაფინანსებული არაერთი გრანტის, პროექტის, ბიზნესის ხელშეწყობი პროგრამის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი...

ულ-ღვარცოფული პროცესების გააქტიურებისას საქართველოს სატრანსპორტო დერეფნებისა და ენერჯოდევერენტების უსაფრთხოების საკითხებს. საერთოდ კი კონფერენციაზე მძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ხსენებული დერეფნების უსაფრთხოება, ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოება, შეიარაღებული ძალების მოქმედების საიმედოობა ცუნამის შემოტევისას (იაპონიის მაგალითზე).



ფორუმი რომ დასრულდა, ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას მერილინდის უნივერსიტეტში შემავალი ტექნოლოგიისა და სისტემური მართვის დეპარტამენტის სამოქალაქო გარემოსდამცავი ნაგებობების ცენტრსა, ერთის მხრივ და ჩვენს სტუ-ის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს შორის, მეორეს მხრივ. დოკუმენტი ითვალისწინებს ახალგაზრდა მკვლევართა, მაგისტრებისა და დოქტორანტების გაცვლას, ასევე ერთობლივ მუშაობას საერთაშორისო გრანტების მომზადებაში.

აგერ, „იტალიურ“ პრესრელიზს გავეცანი და ვხედავ, რომ იქაური შეკრება მთელ ექვს დღეს (13-18 ივნისი) გაგრძელდება; კიდევ რა განსხვავებას აღნიშნავდით ამერიკულთან შედარებით?

პაუზას უნივერსიტეტში შემდგარი მსოფლიო კონფერენცია „ღვარცოფებისაგან მიყენებული ზარალი, იმათი შემფასება, რეგულირება, შეფასებისა და შეფასება“ რიგით მეხუთე გახლდათ ამ თემაზე. ასეთი ფორუმების ისტორიაში სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან პირველი მონაწილე საქართველო გამოდგა ჩვენი ინსტიტუტის სახით.

პაუზაში შეიკრიბა 18 ქვეყნის 270 დელეგატი, დაისტამბა კონფერენციის სამეცნიერო შრომათა 1118-გვერდიანი კრებული.

მე წარვდექი მოხსენებით „მდინარე დურუჯის წყალშემკრებ აუზში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების სავსე კვლევების შედეგები“.

შევხვდი მსოფლიოში ცნობილ ღვარცოფმცოდნეებს, საუბრები შევეხო საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კონტაქტებს საერთაშორისო-საგრანტო პროექტების მომზადებაში, ახალგაზრდა სპეციალისტთა თანამშრომლობას ღვარცოფების დინამიკასა და იმათთან ბრძოლის საქმეში.

მსოფლიოს ღვარცოფების ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჯონ მეიჯერმა (აშშ, კალიფორნიის შტატი) შემომთავაზა სამხრეთ კავკასიაში ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის დაფუძნება. წინადადებას კონფერენციის მონაწილე ყველა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მისივე თხოვნით გამოვედი ინფორმაციით ღვარცოფმცოდნეობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 80-წლიანზე მეტი გამოცდილების შესახებ, კერძოდ, თუ რა ნამყვან როლს ასრულებდა ინსტიტუტი ყოფილ საბჭოთა კავშირში ღვარცოფების შესწავლა და იმათთან ბრძოლაში.

ამასობაში თქვენს „ანგარიში“ პოლონეთის ჯერში დადგა...

ჩემი წლებანდელი მესამე საზღვარგარეთული მივლინება სექტემბერში შედგა, ვროცლავში, ტრანსპორტისა და სელიმენტაციის დარგში (სელიმენტაცია - მდინარეთა კალაპოტური პროცესები) XV მსოფლიო კონფერენციაზე ამჯერად წავიკითხე მოხსენება: „მღეთის წმინდა გიორგის ეკლესიისა და საქართველოს სამეცნიერო გზის შესაბამისი მოწყვეტის დაცვის ინიციატივა ჩამონადენი მოცულობის დადგენა ქვის კონფიგურაციების გათვალისწინებით“ (ეკლესია 1876 წელს არის აშენებული). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლევებში არსებობდა ვეყრდნობი ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის მეთოდოლოგიას. რასაკვირველია, პოლონეთში ფორუმზეც არაერთი სამუშაო შეხვედრა მქონდა უცხოელ კოლეგებთან. გამოვეყოფ საუბარს ვროცლავის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ რომან კოლაჩთან შარშან ჩვენს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების თაობაზე. შევთანხმდით, რომ წლეულს ნოემბერში ან დეკემბერში თბილისში გვესტუმრება პოლონელ სწავლულთა დელეგაცია 3-4 კაცის შემადგენლობით ჩვენი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ისეთ ინსტიტუტში, როგორც თქვენია, უთუოდ ფიქრობთ სახელმწიფოებრივი სტრატეგიის პრიორიტეტულ პროექტებზეც...

დიახ, მომზადდა კონცეფცია „საქართველოს ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფებისას“. სათანადო პროექტი განსახილველად გადავუზავნეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას. სწორედ ბატონი ფრიდონის რეკომენდაციით წარედგინა ჩვენი კონცეფციის პროექტი ქვეყნის უშიშროების საბჭოს საბოლოო დასკვნისათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიების უსაფრთხოება ბუნებრივი თუ ტექნოლოგიური კატასტროფებისას საკაცობრიო პრობლემათა წინა რიგში დგას...

თაბაგ ებანოიძე

თბილისის კულტურის ქრონიკა

ბაგარაშვილი, კავკასია!

26 ოქტომბერს საგამოფენო დარბაზში „ქარვასლამ“ მხატვართა საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლა, სადაც წარმოდგენილია „თავდაზნაურთა საზოგადოებასთან“ არსებული „სამეფო პალიტრის“ წევრი მრავალი მხატვრის ნამუშევარი საერთო სახელწოდებით - „ბაგარაშვილი კავკასია“.

გამოფენა საინტერესოა მხატვლათა ვის არა მარტო შინაარსით, არამედ თავისუფალი თემატიკის გამოც, წარმოდგენილი ნამუშევრებიდან შეხვედრით გრაფიკასაც, ფერწერასაც, ქანდაკებასაც და გამოყენებით ხელოვნებასაც. თავისი შინაარსით კი, ღონისძიების ორგანიზატორის ბუდე სირბილადის თქმით გამოფენა ჩვენს გამოფენილებას ემსახურება, რადგან კავკასია ყველას ერთი გვაქვს.

თუ დათვლიერებას გადაწყვეტთ, დასაწყისში, არცთუ ისე შემთხვევით მოგვხვდებათ თვალში, კომპოზიციური მემორიალი სახელწოდებით „კავკასია - ჩვენი საერთო სახლი“.



არცთუ ისე შემთხვევით, იმიტომ, რომ ეს მემორიალი ღონისძიების ხასიათს ატარებს, რადგან მთელი კავკასიის ქვეყნების ერთობის სიმბოლოა. თვითონ ქანდაკება ბატონ ბუდე სირბილადეს ეკუთვნის და ინტერვიუში მემორიალის ისტორიასაც შეეხოს, 1998 წელს წაუღია ჩეჩნეთში ჩეჩენების ელჩს, რათა იქ დაედგა მუზეუმი. თუმცა ქვეყნის დაბომბვის შემდეგ ის საქართველოში დააბრუნეს.

ღონისძიების ორი წელია, რაც იგეგმება, და „კავკასიის ორდის“ პრეზიდენტის ბატონ გივი ლამბაშიძისა და ეროვნული მუზეუმის დირექტორის ბატონ დავით ლორთქიფანიძის მხარდაჭერით ნებისმიერ მსურველს ხვალამდე, 29 ოქტომბრამდე უმასპინძლებს.

ძათივან მაჭარაშვილი

ოქტომბერს მიახილავს ჯაზის საღამოები

ოქტომბრის თვეს მიახილავს XIV საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს, რომელიც წუხელ საღამოს გაიხსნა თბილისის საკონცერტო დარბაზში და 4 დღეს გასტანს.

როგორც ცნობილმა ქართველმა ჯაზმენმა და საყოველთაოდ აღიარებულმა კონტრაბასისტმა თამაზ ყურაშვილმა ჩვენს კორესპონდენტს ფესტივალის გახსნის წინ უთხრა:

ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოს უნიკალური ჯაზმენები, რომლებმაც ძალზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს მუსიკის ამ სფეროში. ეს დღეები იმითაც არის საყურადღებო, რომ თბილისში ჩამოსული ჯაზის „ვარსკვლავების“ უმრავლესობამ თვითონ გამოთქვეს სურვილი ფესტივალში მონაწილეობაზე.

სხვათა შორის, თითხმეტივე საერთაშორისო ფესტივალის თბილისში გაიმართა... დიახ... და ეს საყურადღებო ფაქტია, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ხანს ჩვენი დედაქალაქი, შეიძლება ითქვას, რომ გადაიქცა მუსიკალური იმპარიუს ერთ-ერთ ცენტრად და, როდესაც, ამჯერადაც ფესტივალში მონაწილეობს ჯაზის ნამდვილი ლეგენდა ჩარლზ ლოიდი, ჯაზ-როკის დამფუძნებელი ლარი კორიალი და სხვა ამერიკელი „ვარსკვლავები“, ეს მართლაც საამაყოა...

ამჯერად თქვენი შეხვედრაც განსაკუთრებული იქნება ჯაზის მოყვარულებთან, ბატონო თამაზ... ამ რამდენიმე თვის წინათ საკონცერტო დარბაზის წინ ხომ თქვენი „ვარსკვლავი“ გაიხსნა...

ჰოდა, ვეცდები ჩემი „გუნდით“ ჯაზის მოყვარულებს იმედი გავუშაროლოთ. ესაუბრა ბაბაი მაღალაქელიძე